ევროპის დიდი საფეხბურთო დღე
ჩემპიონთა თასი
“ლივერპული” (ინგლისი) – “დინამო” (თბილისი)

“ლივერპული” (ინგლისი) – “დინამო” (თბილისი) 2:1 (2:1).

ლივერპული. “ენფილდის” სტადიონი. 19 სექტემბერი. 16 გრადუსი. 35000 მაყურებელი.

“ლივერპული”: კლემენსი, ნილი, ა. კენედი, ტომსონი, ფერკლაფი (ჰეიერი 78), ირვინი, დალგლიში, კეისი, ჯონსონი, მაკდერმოტი, საუნესი.

“დინამო”: გაბელია, გ. მაჩაიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

ბურთები გაიტანეს ჯონსონმა (21), ჩივაძე (34), კეისმა (45).

გაფრთხილებულია მაკდერმოტი.

უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ხანგრძლივი ჟურნალისტური პრაქტიკის მანძილზე პირველად დავტოვე სტადიონი მატჩით კმაყოფილმა, რომელიც “ჩემი” გუნდის წაგებით დამთავრდა. რა თქმა უნდა, მე კმაყოფილი დავრჩი არა შედეგით, არამედ თამაშით, მამაცობით, და თუ გნებავთ, საფეხბურთო სიბრძნით. პრეტენზიები, რა თქმა უნდა, იყო, როგორც ცალკეული მოთამაშეების, ისე გუნდის მიმართ, მაგრამ ყველა კერძო ხასიათის.

დიახ, თბილისის დინამოელებმა ძალზე ააღელვეს სახელგანთქმული “ლივერპული” და მისი ათი ათასობით გულშემატკივარი. თბილისელები ხშირად კარნახობდნენ მათ თამაშის პირობებს და თითქმის არაფრით ჩამორჩებოდნენ მსოფლიო ფეხბურთის ერთ–ერთ საუკეთესო კლუბს.

თუ რა ნიშნავს ეს “თითქმის”, ამაზე ქვევით.

…პირველი ტაიმის დასაწყისშივე ორჯერ ზედიზედ (მე–3 და მე–6 წუთზე შენგელიამ და ყიფიანმა ისეთი კლასიკური “კედელი” გაითამაშეს, რომ ჯერ აღტაცების ამოძახილი, ხოლო შემდეგ აპლოდისმენტები გამოიწვია ტრიბუნებზე.

სტუმრები სულ უფრო ხშირად წარმატებით იგერიებენ ლივერპულელთა მიერ მეკარის მოედანზე ფლანგებიდან ჩამოწოდებულ გადაცემებს. ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე და მათ დასახმარებლად მოსულნი მ. მაჩაიძე, დარასელია, ყიფიანი მიწაზეც და ჰაერშიც ზუსტად დამაჯერებლად მოქმედებენ. და როგორც კი დგება მათი შეტევაზე გადასვლის რიგი, აჩვენებენ ბურთის ფლობის მაღალ ტექნიკას (ამაში მათ დაჯაბნეს ლივერპულელები) და ერთი გრძელი გადაცემით კლუბ ენსის კართან სიტუაციის გამწვავების ცოდნას.

და მაინც, მინდვრის მასპინძლებმა კარგად გამოიყენეს საყვარელი ილეთი. მაკდერმოტმა მარჯვენა ფლანგიდან ზუსტად ჩამოაწოდა მეკარის მოედანზე და ჯონსონმა, რომელმაც დაასწრო მცველებსაც და მეკარესაც, თავით გაგზავნა ბურთი ბადეში.

ეს იყო გარდატეხის წუთი და დინამოელები რომ შემდრკალიყვნენ, “ლივერპულის” გაჩერება შეუძლებელი იქნებოდა. კარის მიმართულებით ურტყამენ ჯონსონი, შემდეგ კეისი, მაგრამ ორივეჯერ კარგად თამაშობს გაბელია. ბევრი ეცადნენ მასპინძლები მიღწეული წარმატების განმტკიცებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ,

პირიქით, სწორედ ამ წუთებში დინამოელებმა ძლიერად შეუტიეს. იმ 15 წუთის განმავლობაში, როცა ინგლისელებს მიჰყავდათ ანგარიში 1:0, ჩემის აზრით, კლემენსი ცუდ დღეში იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა მასთან პირისპირ აღმოჩნდნენ ხან შენგელია, ხან გუცაევი, ბოლოს, ჩივაძემ გრძელი დრიბლინგი გააკეთა ცენტრიდან, მას უნაკლოდ აუბა მხარი დარასელიამ და დინამოელთა მცველმა, რომელმაც კარგად აწონ–დაწონა სიტუაცია, ჭეშმარიტი ფორვარდივით ეშმაკურად გაგზავნა ბურთი "ლივერპულის" და ინგლისის ნაკრების გამოცდილი მეკარის კარში – 1:1.

"დინამო" აგრძელებს შეტევას და კვლავ მასპინძლები უნაკლოდ თამაშობენ დაცვაში. ლივერპულელთა მუდმივი ყურადღების ცენტრშია გუცაევი. ყოველ წუთს მზადაა ცენტრისკენ გასაჭრელად შენგელია. პარტნიორებმა იგი სამჯერ გაიყვანეს კარგ პოზიციაში, მაგრამ სამწუხაროდ, შენგელიამ, რომელიც განთქმულია გოლების გატანით, ხან ააცდინა კარს, ხან მეკარემ აიღო მის მიერ დარტყმული ბურთი.

ტაიმი ფრედ მთავრდებოდა (რომელსაც უფრო ლივერპულელები უნდა გაეხარებინა), როცა გადაცემაში დაშვებული შეცდომის გამო მასპინძლებმა საჯარიმოს დარტყმის უფლება მიიღეს. კარის პირდაპირ 20 მეტრი მანძილიდან ჯარიმა ზუსტად დაარტყა კეისმა. "ლივერპული" წინ გავიდა – 2:1.

გამოცდილება და ოსტატობა ინგლისელებს არ აკლიათ – მათ თამაში ფართოდ გაშალეს და მეტოქეები თავიანთ კართან მიაჯაჭვეს. მთელი დატვირთვით მოქმედებდნენ მცველები, ბევრი საზრუნავი გაუჩნდა ბრწყინვალე მოთამაშე გაბელიას. და ამ სიტუაციაშიც კი ლივერპულელები ძალზე წინდახედულად მოქმედებდნენ და როგორც კი გარემოება მოითხოვდა, არ ერიდებოდნენ თავიანთი მეკარისთვის ბურთის გადაცემას.

წუთი გადის და აშკარა ხდება, რომ სასურველ მიზანთან ახლოსაა არა "ლივერპული", არამედ "დინამო". მინიმალური უპირატესობა არ აწყობთ მასპინძლებს, რომლებიც განწყობილი იყვნენ დიდი ანგარიშით მოსაგებად. სტუმრებს უფრო მეტხანს აქვთ ბურთი, ბევრს მანევრირებენ, კარგ კომბინაციებსაც ახორციელებენ. მათს თამაშს ვერაფრით უწოდებ პასიურს. კოლოსალური ნერვიული დატვირთვისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განცდის გამო დინამოელები ბურთთან დამოკიდებულებაში ისე ელეგანტურად და მოხდენილად ვერ გამოიყურებიან მეორე ტაიმში, როგორც პირველში, მაგრამ სილამაზე საიმედოობას შეეწირა და სტილის ასეთმა შეცვლამ გაამართლა.

და მაინც, რაც არ უნდა კარგი იყო მატჩი და საპატიო მისი შედეგი, საჭირო არ არის ძალზე გაყოყოჩება. პირველ რიგში წაგება – წაგებაა, ხოლო მეორე მხრივ, ადვილი როდია საპასუხო მატჩში ფარ–ხმალი დააყრევინო ისეთ მაღალკვალიფიციურ პროფესიულ კლუბს, როგორიც "ლივერპულია".

და აი, აქ ვუბრუნდებით ზემონათქვამ "თითქმის". ვფიქრობ ღირს ლივერპულელი ოსტატებისგან ვისწავლოთ ნებისმიერი მდგომარეობიდან კარში დარტყმა, თუნდაც წარმატების უმნიშვნელო შანსის დროს.

ამრიგად, პირველი მატჩი უკან დარჩა. ლივერპულში თბილისის "დინამოს" კარგმა თამაშმა შესამჩნევად გაზარდა საპასუხო მატჩისადმი ინტერესი, რომელიც 2 ოქტომბერს გაიმართება.

გ. აკოფოვი. "სოვეტსკი სპორტი". 21 სექტემბერი.

“ლელო”, 22 სექტემბერი, 1979 წ.